



საპროლეტარული სსრკ-ის კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 მარტი, ოთხშაბათი, 1989 წ. № 51 (9970) • ფასი 3 კპბ.

გაზეთის 1934 წლის 13 აპრილიდან

გაზეთ „პრაგმის“ პრიზი თბილისში გათავაზდება

გაზეთ „პრაგმის“ პრიზზე მძლეოსანთა შეჯიბრება მუდამ დიდ ინტერესს იწვევს სპორტულ სამყაროში.

ეს ავტორიტეტული ასპარეზობა ერთხელ უკვე ეწვია თბილისს — 1978 წელს. ჩვენს დედაქალაქში წლებსავე ქვეყნის საუკეთესო მძლეოსანები ჩამოვლენ, გათამაშდება მედლების 36 კომპლექტი. ამ საკავშირო შეჯიბრების (იგნისის პირველი ნახევარი) მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე.

გუნდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში გაიმართება

რთა საორგანიზაციო კომიტეტის თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების, ტესტ-პუბლიკის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები მუშაობენ, გაზეთ „პრაგმის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში გ. ლებანიძე.

ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს სპორტსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რ. აიფურაძე.

ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ნ. ფოფხაძემ.



სტუდენტთა გიგანტური თამაშები პირველად შარშან ჩატარდა თბილისში, წელს კი ეს ასპარეზობა მთელს რესპუბლიკას მოიცავს.



გაქურდიანიდან გულაურში გადაინაცვლეს

დღეს გულაურში იწყება ზამთრის საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სამთოსათხილამურო სპორტში. როგორც ცნობილია, ზამთრის თამაშები წელს პირველად ტარდება და მისი მასპინძლობა ჩვენს რესპუბლიკას ხვდა წილად. თამაშები რამდენიმე დღის წინ უნდა გახსნილიყო ბაკურიანში, მაგრამ ამინდი მოულოდნელად გაუარესდა, წვიმა წამოვიდა და ტრასები მთლიანად მოშალა. საქირო შეიქმნა ასპარეზობის ადგილის შეცვლა და მოასპარეზებმა ბაკურიანიდან გულაურში გადაინაცვლეს. თამაშების ორგანიზატორებს, განსაკუთრებით რესპუბლიკის


სპორტსაბჭოს სასწრაფო ოპერატიული ღონისძიებების გატარება მოუხდა, რომ თამაშები არ ჩაშლილიყო, ცხადია, გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა (განსაკუთრებით სპორტსმენთა დაბინავება, კვიბა და ა. შ.) ძალზე გაართულა მდგომარეობა. გულაურში ყველა სასტუმრო დაკავებული აღმოჩნდა, ამიტომ სურვილისამებრ ზოგი გუნდი თბილისში დაბინავდა, ზოგი ყაზბეგში. ყოველდღიურად უზრუნველყოფილია მათი მგზავრობა შეჯიბრების ადგილამდე და უკან. ორგანიზატორებს დიდი დახმარება გაუწიეს ვაჭრობის მუშაკებმა, რომლებიც კვიბის პროდუქტებით ამარაგებენ გულაურს.

სპორტულ სარბიელზე-სტუდენტთა!

ამ თაოსნობას შარშან ჩაეყარა საფუძველი. უნდა ითქვას, რომ ჩანაფიქრი შესანიშნავი იყო — „სტუდენტთა გიგანტური თამაშები“ თავისთავად მიგვანიშნებდა მის დიდ მნიშვნელობაზე სტუდენტთა სპორტულ ცხოვრებაში. ცხადია, მისასაღებელია. როცა სარბიელზე ასე მრავლად გამოიან სტუდენტთა გუნდები, მაგრამ იმ პირველმა ღონისძიებამ ნაკლოვანებებიც საკმაოდ გამოავლინა ორგანიზატორების — საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გადაწყვეტილებით წელს სტუდენტთა გიგანტურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

ეს მასობრივი შეჯიბრება დაიწყება 19 მარტს. ამ დღეს გაიმართება ასპარეზობა კადრაკში 150 დაფაზე. 26 მარტს თამაშებში ჩაებმებიან მძლეოსნები, ამავე

დღეს გაიმართება შეჯიბრება მკლავებიდში. 2 აპრილს რესპუბლიკის საუკეთესო ბაზები დაეთმობათ ფრენბურთელებს, ამ დღიდან სარბიელზე გამოვლენ სტუდენტები სოხუმიდან, ბათუმიდან, ცხინვალიდან, ქუთაისიდან, გორიდან და თელავიდან. 9 აპრილს ჩატარდება შეჯიბრებები ცურვაში, 16 და 23 აპრილს კი კალათბურთელები და ფეხბურთელები იასპარეზებენ. წინასწარი მონაცემებით თამაშების ამ ეტაპზე სულ გამოვა 20 ათასამდე სტუდენტი. მისში გაიმართება დასკვნითი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდები. თამაშების ყველაზე აქტიურ მონაწილეებს ელით მოგზაურობა საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, აგრეთვე სხვადასხვა პრიზები და ფასიანი საჩუქრები.



კუს ტბაზე - ჯანმრთელობისათვის

როგორც ცნობილია, კუს ტბაზე ბოლო წლებში ბევრი ახალი ნაგებობა გაშენდა — შეიქმნა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სადაც ადამიანები მათთვის სასურველ და ხელმისაწვდომ სპორტის სახეობებში იკაუებენ ორ-

განიზმს. ამ დღეებში აქ დამთავრდა სარემონტო სამუშაოები და კომპლექსი მზად შეხვდა ახალ სეზონს.

რედაქცია დაინტერესდა მომსახურების სიხარულით. აი, რა გვი-

კობა კურტანიძე — ფედერაციის უმაღლესი მდივანი

მოსკოვში, ძიუდოს საკავშირო ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმზე დაამტკიცეს ახალი შემადგენლობა. ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ დასახელებულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე პ. ბოგდანოვი, ხოლო მის შემადგენლობაში პირველად აირჩიეს მოქმედი სპორტსმენები: ბაშირ გარაევი, გრიგორი ვერიხევი და კობა კურტანიძე.

აკითხვალი — გაზეთი

სოტას არასპორტულ თემაზე

ძვირფასო რედაქცია, „ლელო“ სპორტული გაზეთია და გასაგებია, რომ იგი ამ დარგის ამბებს უნდა ასახავდეს. მაქვს წინადადება, რატომ არ შეიძლება ზოგჯერ არასპორტულ, მაგრამ ყველასათვის საინტერესო ამბებს დაუთმოთ თუნდაც სულ მცირე ადგილი? თუ ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებთ, ძალზე კმაყოფილი დავრჩებით, ეს ძალზე დაეხმარება სპორტსმენებსაც საერთო ცოდნის გაღრმავებაში.

გიორგი ჯავთარაძე, ირმა ზანტურიანი, სტუდენტები.

რი მსურველი გვეყოლება ათლექტისა და ჩინური ტანვარჯიშის „ჩიგუნის“, ჰათბა იოგას ჯგუფებში. იმუშავეს სამედიცინო აღდგენითი ცენტრი, სადაც გამოიყენება კონტრასტული და ცირკულარული აბანოები, ჰიდრომასაჟი, შხაბი „შარკო“, საუნა და ა. შ. მზად ვართ გემსახუროთ, მობრძანდით!

რედაქციისათვის: ეს წერილი გამოქვეყნებამდე რედაქციაში განვიხილეთ. კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით, ჩვენს მეტოქეებს რუბრიკით „ცოტაც არასპორტულ თემაზე“ მოკლულ შევთავაზებთ ისეთ საინტერესო ამბებსაც, რომელიც ფიზკულტურასა და სპორტს არ ეხება. გაზეთის ამ ნომრის მე-4 გვერდზე დღეს თქვენ პირველად გაცნობთ ასეთ ინფორმაციებს.



ორიენტირი — სასპორტული
საქართველო თბავს

მიზანი — უკეთ გამოსვლა

პარკის მდებარეობას გავალუ-
ლი თოვლის ხრამბარში და ბიჭე-
ბის მოკლე მხარული გადაძახი-
ლები არღვევს. შემდეგ მწვრთნელი
ნახევარ წრედ აყენებს მათ და იწ-
ყება მითელვა. ცხინვალელებმა
უკვე თვალის შეაჩვიეს საქართვე-
ლოს ძალოსანთა ახალგაზრდული
ნაკრების წევრებს. მათ შორის ხომ
აქ ქალაქის აღზრდილი ათლეტებ-
იც არიან. ძალოსნობის სპორტული
დარბაზი კულტურისა და დასვენ-
ების პარკში მდებარეობს. ფიზი-
კური მომზადებისთვის უკეთესს
ვერც ინატრებს კაცი. რესპუბლიკის
ძალოსნები ამ ქალაქში ხში-
რად აწყობენ შეჯიბრებს და ჩვენი
საუბარიც საქართველოს ნაკრების
უფროს მწვრთნელ ამირან ჭიტაძე-
სთან ცხინვალეთა და ცხინვალე-
ლებით დაიწყო:

— რატომ ვაწყობთ უფრო ხშირად
ცხინვალში შეჯიბრებს? ალბათ
იმიტომ, რომ აქაურებმა ძალოსნო-
ბის ყდური იციან. მათ ძალოსნებს
ხომ არაერთხელ გამოუჩინიათ თა-
ვი როგორც საკავშირო. ისე საერ-
თაშორისო ასპარეზზე, მაგრამ მარ-
ტო ეს მიზეზი ცხადია, არ კმარა.
მთავარი ისაა, რომ ქალაქს აქვს
ნორმალური ძალოსნობის დარბა-
ზი და კვებაც აქ უკეთესია. ეს უკა-
ნასკნელი პირობა ჩვენს სახეობა-
ში, სადაც სპორტსმენს ყოველდღი-
ურად 20 ტონამდე სიმძიმის აწვე-
რუნდება, ანგარიშგასაწვევი ფაქტორია.
როგორც რესტორანში, ისე კაფე-
ბარში ყველანაირად გვიწყობენ
ხელს, რომ კალთიული საკვები
არ მოგვაკლან. კიდევ ერთი: დი-

დი თუ პატარა საქმის გადაწყვეტა-
ში ყოველთვის ჩვენს გვერდითაა,
შეძლებს დაგეგმავს გვეხმარება გა-
მონების ძალოსანი, საერთაშორ-
ისო კლასის სპორტის ოსტატი, სა-
მრეთ ოსეთის სპორტკომიტეტთან
დირექტორი გრიგორ კოჩიევი. იგი,
თამამად შეიძლება ითქვას, ცხინ-
ვალში ჩვენი პატრონია.

● პრობლემებზე რას ვეუბნე-
ვით?

— ძალიან გვაწუხებს ის, რომ
თბილისში, ჩვენს ძირითად სავარ-
ჯიშო ბაზაზე, ცხრაშეტი წელია
გათბობა არა გვაქვს. სპორტსმენს
მითელვით გახურებული კუნთები
ხშირად უცივდება. ეს კი ტრავმის
ერთ-ერთი მიზეზი ხდება. თუმცა
ეს ცივი მიზეზი განაფხულზე ისე
ცხელდება, რომ სუნთქვა გვიჭირს
ხოლმე. ერთი სიტყვით, ზამთრის
„დანაკლის“ გაზაფხულზე გვინა-
ლაურებენ. გვიჭირს ინვეტარის
მხრივაც: გვაკლავა შტანგები, საე-
როლოდ არა გვაქვს ტრენაჟორები.
რაც შეეხება ფიტარნაგებს, ისინი
სანახევროდ მწყობრიდანაა გამო-
სული. ამის მიზეზი ნაწილობრივ
ისიც არის, რომ ლენინგრადის ქა-
რხანა, რომელიც ფიტარნაგებს
უშვებდა, სამეურნეო ანგარიშზე
გადავიდა და მომგებიან საქმედ
აღარ თვლის ძალოსნების მომსა-
ხურებას. ამჟამად თბილისში გა-
სნილია კოოპერატივი, რომელიც
ფიტარნაგებს გამოუშვებს. დაგვი-
რუნენ, გიყიდიოთ და ველოდ-
ბით.



საერთო ფიზიკური მომზადება, თოვლში, სუფთა ჰაერზე.

● ოთხი წლის წინ მინსკში გა-
მართულ ახალგაზრდულ თამაშებში
ჩვენმა გუნდმა მეცხრე ადგილი და-
იკავა. თუ არ ვცდები, მაშინ ოთხ-
მა ჩვენმა ძალოსანმა (ელგუჯა
ჩინაძემ, ბიძინა მიქიაშვილმა, გო-
ჩა ჭიტაძემ, რომან გოჯიევამ) მე-
ხუთე ადგილი დაიკავა. წელს გუნ-
დი ძირითადად იმავე ძველი შემე-
ადგენლობით გამოდის. რას უნდა
ველოდეთ მისგან?

— ვიდრე კითხვაზე გიპასუხებ-
დეთ, უნდა გითხრათ, რომ ორი
თვის წინ შეიცვალა დებულება.
ახლა შეჯიბრებაში მონაწილეობას
მიიღებენ 1967 წელს დაბადებულ-
ები და არა ორი წლით უმცროსე-
ბი, როგორც ადრე იყო ცნობილი.
ამან საკმაოდ იმოქმედა ჩვენი გუნ-
დის გეგმებზე. მაგალითად, საკავ-
შირო სპორტსკოლების პირველი
ბის ვერცხლისა და ბრინჯაოს მე-
დალოსნები, სახერელი ზაზა ხარა-
იშვილი და ქუთაისელი მერაბ ხუ-
ბუტელაშვილი 1971 წელს არიან
დაბადებული და. ცხადია, ოთხი
წლით უფროს მეტოქეებთან ჭი-
დილი ძალიან გაუჭირდებათ. კანი-
ნი ყველა გუნდს თანაბრად შეეხო,
მაგრამ საქართველოს ნაკრები შე-
დარებით ახალგაზრდული კოლექ-
ტივია და ეს საკითხი ამიტომ გვა-
ფიქრებს. რაც შეეხება ჩვენი გუნ-
დის მიზანს, გვინდა ადრინდელი

შედგვი გავაუმჯობესოთ და ერთი
ადგილით წინ გადავიწვილოთ. სა-
მაგიეროდ მეტი პრეტენზიები
გვაქვს პირად პირველობაში. აკე-
რამი გამარჯვებას ვუბრუნებთ მსო-
ფლიო რეკორდსმენს, ცხინვალელ
კახა კახიაშვილს (წინა ახალგაზრ-
დულ თამაშებზე იგი თექვსმეტი
წლის იყო და მხოლოდ მეცხრე
ადგილის დაკავება შეძლო. —
ჯ. კ.) და ბრინჯაოს მედალს —
სახერელი კობა ტალახაძეს. სულე-
ლში გასვლის შანსი აქვე გრიგორ
ჩუბინიძეს, გოჩა ჭიტაძეს (სახე-
რე) და სოსლან კოჩიევს (ცხინვ-
ლი).

● ჩვენი ძალოსნები ყველა წო-
ნაში გამოვლენ თუ რომელიმეში
„გაორებას“ აპირებთ?

— ძალიან გვიჭირს 52, 56, 60
კილოგრამ წონით კატეგორიებში.
ამიტომ გვინდა „გაეაოროთ“ 75,
82,5 110, +110 კგ წონითი კა-
ტეგორიები.

● მწვრთნელებმა ხშირად იცი-
ან გუნდის სავარაუდო შემადგენ-
ლობა, მაგრამ გარკვეული მოსაზ-
რებების გამო ერთდებთან წევრე-
ბის დასახელებას. მიუხედავად ამ-
ისა, თქვენ რამდენიმე მაინც და-
სახელებით...

— ჩამოთვლილი ათლეტები ფა-
ვორიტებად ითვლებიან, ეს საი-
ღუმლო არ არის, რაც შეეხება
დანიარჩენ კანდიდატებს, ახალგა-
ზრდულ თამაშებამდე ჯერ კიდევ
საკმაო დროა. თუ რომელიმე მათ-
განი მოახერხებს აზრი შეგაცვ-
ლევინოს, სიამოვნებით შევიყვანო
გუნდის შემადგენლობაში. ამის-
თვის მათ საკმარისი ასპარეზი ექ-
ნებათ. დასკვნითი საკონტროლო
შეჯიბრება უზღვიდეთ გვექნება,
სადაც საქართველოს პირად პირვე-
ლობაში ახალგაზრდული ასაკის
სპორტსმენები გამოვლენ. ბოლოს
კი ისევ ცხინვალს მივამუშრებთ,
საიდანაც ახალგაზრდულ თამაშებ-
ზე გავემგზავრებთ.


ჯემალ კასრაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.



უფროსი მწვრთნელი ამირან ჭიტაძე (მარცხნივ); ვარჯიშობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები.



ვარჯიშობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები.



ორი კიძის ხელში

ლახტის წრეში

სამართალში საცურაო აუ-
ზების უმრავლესობას განვებამ ერ-
თნაირი ბედი არგუნა — ავანტიზით,
ზარ-ზეიმით გავხსნით; მშენებლ-
ების მარჯვენას დაეულოცავთ და
მალე, რამდენიმე წელიწადში, გა-
ირკვევა, რომ ის აუზი ცუდად აუ-
შენებიათ და კაპიტალური რემონ-
ტის ჩატარება გასზდარა საჭირო.
ისიც ხდება, რომ პროფილაქტიკის
მიზნით აუზში მიმდინარე რემო-
ნტის რაღაც უბრალო საკითხი
პრობლემად წინ აღუდგება და სა-
ქმე მთლად მიდის ხელიდან, აუზი
გაურკვეველი ვადით წყვეტს მუ-
შაობას.

გამონაკლისი არც თბილისის 140-
პროფტექნიკური სასწავლებლის
აუზია. სასწავლებლის საცურაო
აუზი, ვთქვით, მაგრამ, ეს მთლად
სწორი არაა. რამდენიმე დღის წი-
ნით ეს აუზი მართლაც ამ პროფ-
ტექნიკურ სასწავლებელს ეკუთვ-
ნოდა და საქართველოს სახალხო

განათლების სამინისტროს ბალანს-
ზე იყო მანამდე, ვიდრე პროფტექ-
განათლების სახელმწიფო კომიტეტი
დამოუკიდებლად არჩებობდა, აუზი
მის ბალანსზე იყო, ხულ თავიდან
კი სამეცნიერო-საწარმოო ვარით-
ანება „მიონს“ ეკუთვნოდა.

25-მეტრიანი დახურული საცუ-
რაო აუზი სწორედ „მიონს“ ააშე-
ნა. 1987 წლამდე იგი შეუფერხე-
ბლად მუშაობდა, მერე კაპიტალური
რემონტი დაიწყო ადრე, როცა
აუზი პროფტექგანათლების ბალან-
სზე გადავიდა, „მიონს“; როგორც
იტყვიან, ამ საქმეზე ხელი დაიბა-
ნა — ვის ბალანსზეცაა, იმან გაა-
რემონტოსო.

პროფტექგანათლებაში კი ამბო-
დნენ, რაკი 140-ე სასწავლებელი
„მიონის“ საბაზო სასწავლებელია
და ვალდებულია აუზსაც მან უპა-
ტრონოსო.

ერთი სიტყვით, აუზს ორი პა-

ტრონი ჰყავდა და არც ერთი არ
პატრონობდა.

ტყუილად კი არ უთქვამთ, ორი
ძიძის ხელში ბავშვი მშვიდი დარ-
ჩაო. მერე შესამეც გამოჩნდა —
განათლების სამინისტრო, მაქრამ
ყველამ დაივიწყა, რომ ერთი მხრი-
დან სარგებლობას მეორე მხრი-
თაც სარგებელი უნდა.

რამდენიმე დღის წინათ, როგორც
ვთქვით, აუზი კვლავ „მიონის“ ბა-
ლანსზე გადავიდა.


იმედია, აუზი ბალანსიდან ბალა-
სზე აღარ გადავა, „მიონს“;
ამჯერად, ალბათ. მისი ერთადე-
რით ძიძა იქნება და საქმესაც გაა-
კეთებს.

— გასაკეთებელი კი ძალზე მე-


ვრია, — ამბობს აუზის დირექტო-
რი ირაკლი ქორჩილაძე. — გათ-
ბობის ქსელი მთლიანად გამოხაც-
ვლელია, დასამატებელია კიდევ ერ-
თი ბილიტერი. შუშის კედლები ქა-
რმა დაამხვვრია და საჭიროა აგუ-
რით ან შუშის ბლოკებოთ კედ-
ლების ამოშენება, ფილტრების მო-
წესრიგება, გათბობის დაყენება, სა-
ჭუშპალაოს აშენება, რომელიც
თავის დროზე მშენებლებს „დაა-
ვიწყდათ“... ყველაფერს რა ჩამოთ-
ვლის. თუ ეს ყველაფერი გაკეთდა,
აუზი შეუფერხებლად იმუშავებს,
ამასთან, აუზი ახლა დიდშის მო-
სახლეობის გარდა, ავჭალაში და
თემქაზე მცხოვრებთაც მოემსახუ-
რება. ამას წინათ დიდშისა და ავჭა-
ლას შორის ხიდის გადებამ ხომ ეს
ადგილები დააკავშირა და დააახ-
ლოვა.

ავთანდილ ზვინიშვილი.


ავტორის ფოტოები.



აუზის განათლების სისტემა მორღვეულა და სადაცა ჩამოვარდება (მარცხნივ); ძლიერ ქარს აუზის შენობის კედლები დაუმხვვრევია და შიგნით თა-
ვისფულად დაწვარდაც. როგორც ხედავთ, არც აუზის აგურით ამ-
ოშენებული კედლებია კარგ დღეში.



ავტორის ფოტოები.



მართალი ენა საქართველოში
სახელმწიფო ენა კი არის,
მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრგან
მას ჯერ კიდევ უფულუმეფლყო-
ფენ. თუმცა, მდგომარეობა თან-
დათან უმჯობესდება. ამის ნა-
თელი დასტურია შარშან პრესა-
ში გამოქვეყნებული ქართული
ენის სახელმწიფო პროგრამის
პროექტიც.

კეთილმა ხიომ სპორტულ სფე-
როშიც დაბერა. წინათ თუ ხო-
რტის მრავალ სახეობაში საქა-
რთველოში გამართულ საქალა-
ქო, რესპუბლიკურ და საკავში-
რო შეჯიბრებებზე მსაჯი-ინფორ-
მატორი მხოლოდ რუსულად
გვაწვდიდა ინფორმაციებს, ახ-
ლა თანდათან ჩვენს „შინაურ“
ასპარეზობებზე ქართული ტრანს-
სკრიპტივით ორენოვანი (ქართ-
ული და რუსული) ხდება. ახე
იყო, მაგალითად, თბილისში,
ვაკის საცურაო აუზზე ცურვახა
და წყალში სტომაში გამართულ
რესპუბლიკურ პირველობებზე.
სადაც მსაჯი-ინფორმატორი ქა-
რთულად წარმოვიდგინდა შე-
ჯიბრების მონაწილეებს, ქარ-
თულად აცხადებდა ასპარეზო-
ბის პაროგრამას, მონაწილეთა მი-
ერ ნაწევრებ შედეგებს, ბრძო-
ლის მსვლელობას...

როგორც წყალში მტკომელ-
თა რესპუბლიკური ჩემპიონატის
მსაჯი-ინფორმატორმა ალექსან-
დრე ბართაიამ გვითხრა, ჩვენს
სახეობაში მომავალშიც ახე იქ-
ნება, რაც სხვა სიციფითთან ერ-
თად ქართული სპორტული ტერ-
მინოლოგიის, კერძოდ, წყალ-
ში სტომის სპეციფიკური ტერ-
მინოლოგიის დახვეწა-განვითარე-
ბასაც ხელს შეუწყობსო.

ორენოვანი იყო ამავე აუზზე
გამართული წყალში მტკომელთა
საკავშირო პირველობა „კომსო-
მოლსკაია პრადის“ პრიზზე და
სხვ კავშირის ჩემპიონატი ამა-
ვე სახეობაში, პირველი ლიგის
წყალბურთელთა საკავშირო პირ-
ველობის მეორე ტური...

ვაკის საცურაო აუზზე ორე-
ნოვან ინფორმაციებს ველოდით
უმაღლესი ლიგის წყალბურთე-
ლთა საკავშირო ჩემპიონატის
მესამე ტურის მატჩებზეც. „შა-
გრამა“...

ტურის პირველ დღეს, თბი-
ლისის „დინამოსა“ და მოსკოვის
„ტორპედოს“ გუნდების შეხვე-
დრისას, ინფორმაციებს მხოლო-
დ რუსულად ვისმინდით. მე-
ორე დღეს, როცა ჩვენი წყალ-
ბურთელები მოსკოვის „უნი-
ვერსიტეტს“ ხვდებოდნენ, ინ-
ფორმაციების მოწოდება რუს-
ულადაც „დაავიწყდა“ და მა-
ყურებელმა ვეღარც გუნდების
შემადგენლობა გაიგო, ვეღარც
გოლების გამტანთა ვინაობა,
არც ის იცოდა, აკრძალული
ილითების გამოყენებისთვის ვის
აძეგდნენ სარბიელიდან ან
რიცხოზრდივი უპირატესობა რო-
მელ გუნდს ჰქონდა.

მადლობა დმეტრის, ტურის
უკანასკნელ მატჩში, თბილისის
„დინამოსა“ და მათი ლვოვე-
რაში კვლავ გაახსენდათ, რომ
მაყურებელს ინფორმაცია სჭირ-
ებოდა, მაგრამ ის ინფორმაცია
ინევ რუსულად მივიღეთ.

ახლა, როცა საქართველოში
ქართული ენის დაცვისთვის ამ-
დენი რამ კეთდება, ახეთი და-
უღვერობა არავის ეპატება.

და ბოლოს, იმედი დავტო-
ვლო, რომ მომავალში საქარ-
თველოში გამართულ შეჯიბრებ-
ებზე ინფორმაციებს მივიღებთ
ქართულად ან ორ ენაზე,
იმის მიხედვით, თუ როგორი მს-
სშტაბისა იქნება ეს ასპარეზო-
ბები.

ავთანდილ ზურაბაშვილი.

სისარულისტვის უნდა იბრძოდ



● თენგიზ, მიუნხენიდან იმისა, რომ იბრძოდა წლების მანძილზე გუნდის მწველობაში, დინამოელებს, მაინც მგონია, რომ თქვენ, რატომღაც უფროსი ხართ გვერდს ვეჭყვევდით. ამიტომ მკითხველმა ცოტა რამ იცის თქვენს შესახებ. მოდით, ბავშვობიდან დავიწყოთ.

— ვიზრდებოდი ქუთაისის ერთ-ერთ კოლონიალურ უბანში — ქომაში. ბავშვობიდან მიზიდავდა სპორტი და ერთდროულად ორ სპორტს ვეზღობოდი: ფეხბურთსა და ფეხბურთს. ავტოპარხანასთან შექმნილ ნორჩ ფეხბურთელთა კლუბში მიხელი ლოსაბერიძე მკვლავ მომიწოდებდა. შემდეგ რაღაც უსამართლობა ვერ ავიტანე და გადავწყვიტე დამეხებებინა ფეხბურთისთვის თავი, მაგრამ კარლო ხურციძემ მომიხმებინა და მიმბარუნა. ასე რომ, მისი მადლიერი ვარ. 17 წლის კი უკვე ქუთაისის „ტორპედოში“ ჩამრიცხეს, სადაც ოთხი სეზონი ვითამაშე.

● „დინამოში“ ერთბაშად რამდენიმე ქუთაისელმა მოიყარა თავი. მაინც მინდა გვითხროთ, გული უკან, ქუთაისისკენ ხომ არ გიწვევდა?

— „დინამოში“ თამაში, ალბათ, ყველას ოცნებაა. ნოსტალგიას იმდენად არ განვიცდიდით, რამდენადაც შიშს, ვითუ ვარჯიშ ვერ ვითამაშოთ და უკან ვაგვებრუნონ, როგორ უნდა შევხვდეთ ლეღას, მეუღლეს, მეგობრებს. ეს შიში არ მასვენებდა მანამ, ვიდრე ჩემი ძალები ისე არ ვიგრძობე.

● „დინამოს“ დიდების წლები საც მოვსწრაფობ და ჩავარდნასაც, ხანგრძლივ კრიზისს რომ უწოდებენ. რა გრძობა გქონდათ ბოლო წლებში?

— ვინც „დინამოს“ აღმასვლის პერიოდში თამაშობდა, ბოლო წლები მისთვის წამებად იქცა. აღრე მეგობრის დანახვაც მიხარობდა, მეზობლის, ახლობლის, უცნობ გულშემატკივარსაც კი სინარულით ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი. ბოლო წლებში კი, უკვე საკუთარ მიწოდებულ რაიმე ვეგონებო, გარეთ ყოფნა შემეცვალა, ცდილობდი, უმეტესად ან ბაზაზე ვყოფილიყავი, ან შიშ.

● ამ ხნის მანძილზე ბევრი მწვრთნელი გამოიცვალა „დინამოში“. როგორი ურთიერთობა გქონდათ მათთან?

— არც ერთ მწვრთნელთან არ მქონია უსიამოვნება. ვიცოდი ჩემი საქმე და ვაკეთებდი იმას, რაც გუნდის ინტერესებს შეესაბამებოდა.

● რა თვისებები უნდა ჰქონდეს სპორტსმენს, რომ გულშემატკივრის სიყვარული დაიმსახუროს?

— შრომის სიყვარული, ოჯახის სიყვარული, მეგობრების, გარშემოცემის პატივითა პატივისცემა. გულშემატკივარმა შეიძლება პირადულიც არ გააბატოს. შენ მას უყვარხარ არა მარტომ იმით, რომ ბურთს კარგად ფლობ, ან კარგად დარბობ. როგორც პიროვნება, სრულფასოვანი უნდა იყო. უნდა გქონ-

დეს იმ ხალხის სიყვარული, ვისთვისაც თამაშობ. „დინამო“ ის გუნდია, მის მაისურს რომ ჩაიცვამ, უკვე შენ თავს აღარ ეკუთვნის, ერის საკუთრება ხარ და მისი სინარულით უნდა იბრძოდ.

● გაიხსენეთ ყველაზე ბედნიერი და ყველაზე მძიმე დღე თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში.

— 1981 წლის 13 მაისი, „დიუსელდორფის“ მატჩად. მონათლული შეხვედრა „კარლ ცისთან“. ეს არ იყო მხოლოდ გამარჯვება. ეს იყო რაღაც უფრო მეტი, გულში რომ არ ეტეოდა და გადმოხეთქვას ლამობდა. ეს იყო ზენიტი, რომლის შემდეგაც, სამწუხაროდ, ალბათ ლიგეური იყო იმ დროსვე.

ყველაზე მძიმე კი ჩემთვის შარშანდელი სეზონი იყო. იმდენი ძნელი მატჩი და მედვეგი მასოვს, გამაოგნებაც კი მივტოვე. ალბათ, მაინც ერევნის „არარატთან“ შეხვე-

და მაგრამ ზეგ უკვე გუნდის ინტერესი წაგვებდა. ამიტომ გადავწყვიტე, სანამ გვიანი არ იყო, ეს ნაბიჯი გადავჭრა.

● თქვენ საკავშირო ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი გახდით, რას ნიშნავდა ეს ჯილდო თქვენთვის?

— ნამდვილად არ მეგონა, თუ კიდევ გამომიხსენებდნენ ნაკრებში. იმ სეზონში უკვე ვაპირებდი გუნდიდან წასვლას და ამიტომ თითქმის მოუშვალდებელი მოვხვედი ასეთი რანგის შეჯიბრებაზე. ამაზე ძალიან მწყდება გული. პირველად ჩემს სიცოცხლეში ვიკეტი სათადარიგო სკამზე და უკვე მაშინ გადავწყვიტე საბოლოოდ, სპორტს გამოვთხოვებოდი.

● ნახევარმცველისთვის აუცილებელი არ არის ბომბარდირი იყოს, თუმცა, თქვენ ხშირად ახარებდით მაყურებლებს ლამაზი იერიშით და

მასზე ხშირად გაიგონებდით გულშემატკივართა შორის: „ხარის ძალა აქვს“, „ხარით ამტანი“, „ხარით ერთგულიაო“. თენგიზ სულაველიძე ათი წლის წინათ მოვიდა თბილისის „დინამოში“ და მართლაც რომ ქართველი კაცის სალოცავი წიქარასა და ნიკორასავით უერთგულა საყვარელ გუნდს. ბოლომდე იბრძოლა. სანამ გრძნობდა თავის თავში ძალას, თამაშობდა. ახლა კი... ახალი სეზონის გახსნას ათასობით ფეხბურთის მოყვარულის თვალწინ დაემშვიდობა მინდორს. მინდორს, რომელსაც მრავალი წელი შესწირა.

დრა უნდა აღენიშნო, 0:2 წაგავით საკუთარ მოედანზე, თან პირველ ლიგაში გადასვლის კანდიდატები ვიყავით, პატარა ბავშვივით ამოიჭრა გული.

● დღევანდელ „დინამოში“ თუ ხედავთ ახალგაზრდას, ვისაც დიდი სიხარულით გადაულოცავდით რვა ნომერ მაისურს?

— ახრიც ცვეთას, პატოსანს, წესიერს, თავისი საქმის მოყვარულ ბიჭს.

● „დინამო“ პროფესიული კლუბი გახდა. როგორც ახლა ამბობენ, გარდაქმნა დაიწყო. დასაწინაა, რომ ველარ ითამაშებოთ მის შემადგენელში?

— ჩვენც თითქმის პროფესიონალები ვიყავით, სახელი არ გვერქვა მხოლოდ. კლუბის შექმნა ბევრ სიკეთეს მოიტანს, მაგრამ თუ გუნდმა არ ითამაშა, თვითდაფინანსებაზე გადასვლით იზარალებს. მაყურებელს ვერ მოატყუებ, ხომ ნახეთ, შარშან ლატარიისთვისაც, კი არ მოდიოდა გულშემატკივარი. თვითონ სპორტსმენის შეგნება უნდა გარდაიქმნას, სიტყვა პროფესიონალი ბევრს გავალებს.

● ბოლო წლებში მთელი მატჩის სიმიმე თქვენზე, ვებრძალებზე გადამდებოდა. ამანაც ხომ არ იმოქმედა, რომ აქტიურ სპორტს ჩამოშორდით?

— ასე თქმა არ შეიძლება. ბიჭებს რაც შეეძლოთ, თამაშობდნენ. უბრალოდ, მე აღარ მომწონდა ჩემი თავი მინდორზე. შეიძლებოდა დავჩინებოდი და ახალგაზრდების ღონეზე მეტამაშა, მაგრამ ხალხს ხომ ახსოვს ჩემი აღრინდელი თამაში? თან ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, ნათქვამია. დღეს მანატი ებდნენ უხვირო თამაშს, ხვალეც,

გოლით. რომელი დავამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— „დინამოს“ შემადგენლობაში „ფეიენოორდთან“ გატანილი გოლები. ახალც რომ ვუყურებ ვიღოჩანაწერს, მსიამოვნებს. ნაკრებში? ისლანდისათან ვითამაშობდი 1986 წელს, 0:1 ვაგებდით და მე ვაგვივით ანგარიში.

● მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ?

— არა. ყველა ფეხბურთელი მწვრთნელი ვერ გახდება. ამისთვის თანდაყოლილი ტალანტია საჭირო. სიმართლე გითხროთ, ბურთმაც მომაბეზრა თავი. სხვაგან მინდა ვედიო ჩემი ძალები. კერძოდ, სპეციალობით ვიმუშავე, ალბათ, იურიდიული განათლება მაქვს.

● ცოტა რამ პირად ცხოვრებაზე გულშემატკივარმა ხომ ყველაფერი უნდა იცოდეს საყვარელი გულშემატკივრის შესახებ?

— მეც ვერაფერი ვიცი (იღიბება) — მაღონა ზიფერტი, იგი პედაგოგია. გვირამ არ გაგაკვირვოთ. წმინდა იმერელია, გვარი შერია გერმანული. 1977 წელს დაექორწინდით. ხანგრძლივი რომანი გვქონდა, მაგრამ შეგრძობისა თუ ტურნეების გამო ვერ მოვახმეთ თავი ქორწინებას. 1982 წლის 3 სექტემბერს ვაი შემიძინა — თენგიზი. წელს I კლასში შევიდა და ჯერჯერობით აუ იას ჩამოვიტოვე. დაფინანსებით ვერ მოვხანოვ; ფეხბურთელი გამოდი-მეთქი, სათანაც გული გაუწევს, იქით წავიყვან.

● დემოგრაფია დღეს უპირველესი პრობლემა გახდა, თქვენ კი ერთი შვილი გყავთ, იქნებ სწორედ გამოჩენილი დაბიანები უნდა იყვნენ ამაში, ასე ვთქვათ, ტონის მიმცემნი?



თენგიზ სულაველიძე

— ერთ შეილზე ნამდვილად არ გავჩერდებით, მით უმეტეს მე პირადად ვიცი ოჯახიდან ვარ, რვანი ვიყავით დედამაშვილები (ორი გვაქვია) ალბათ, ისეც „სპორტია“ და მანაშავე“, თენგიზ რომ მართალია (როგორ უმოწყალოდ ყველაფერს მას ვაბრალებ). ხშირად ვმოგზაურობდი, შეკრებებზე ვუყავი. ძნელია სპორტსმენის ცოლობა, სულ მართალია, მხოლოდინია, სულ ენატრები. ახლა კი შემძლია მთელი გული ოჯახს მივცე.

● ერთ-ერთ სატელევიზიო გამოცდაში ცნობილი კინორეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი ამბობს, რომ ფიქტურა განმრთილობას აძლევს აღამიანს, სპორტი კი პირიქით, მთელ ძალებს ართმევსო. ამიტომ სათანადოდ უნდა დაფასდეს სპორტსმენების შრომა და თქვე მოპყავს საზღვარგარეთელი ოსტატების გამოუშავებულ თანხა. ამის შესახებ რას იტყვით?

— პირადად მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ ცხოვრების ნორმალური პირობებზე მაქვს, იქნება ეს ბინა, მანქანა თუ სხვა რამ. მართალია, ოჯახი მეტს ითხოვს, მაგრამ ყველაფერი ანგარებით ხომ არ უნდა ვაკეთო?

რამდენიმე მიწვევა მივიღე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. მაგრამ მე ყოველთვის მერჩინება „დინამოში“ მეტამაშა. რაც შემიძლო მისთვის ყველაფერი ვავიღე. ვფიქრობ, რომ კაცმა, რომელიც წავა თბილისის „დინამოდან“, აღარსად უნდა ითამაშოს. ის „დინამოში“ უნდა „დაიწვას“.

● თუ გყავდით ცხოვრებაში აღამიანი, ვისაც გინდოდათ რომ დასგავსებოდი?

— მამა აღრე, 6 წლის ასაკში დავკარგე და ამიტომ ვცდილობდი ისეთი აღამიანი მომეძებნა, ვიხე მამურ სიტბოს მაგრძობინებდა. ასეთი პიროვნება კონსტანტინე ზიფერტი აღმოჩნდა, ჩემი სიმამრი. პატიოსანი ოჯახისა და მეგობრების მოყვარული კაცი. შარშან გარდაიცვალა. ყველთვის მინდოდა მის-საიო, მართალი კაცი ვყოფილიყავი ყველას წინაშე.

● თქვენი ზობი?

— ნადირობა, თევზაობა, მიყვარს ბუნება და ტყე-ღრეში სიარული. ბუნებით მოხეტიალე ვარ. ან რომელი ქართველი არ არის მონეტრალე ჩვენი ბუნების წყალობით?

● საქვარელი მწერალი თუ გყავთ?

— გურამ ფანჯიქიძე და ლევან სანიკიძე. არ ვტოვებ წაუკითხავს არაფერს, რაც მათ კალამს ეკუთვნის.

● თენგიზ, ძნელია პოპულარობა?

— პოპულარობას ორი მხარე აქვს. ჩვენ, სპორტსმენები რაღაც ნაირად თითქოს დაკომპლექსებულნი ვართ, კინოში, ეტერში, მოკლედ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ვერვინ ვხვდებით. „აი, სულაველიძე“, „შეზე ბიჭო, შენგელია“... და ჩვენ სად წავიდეთ, აღარ ვიცით. მადონას სულ ვპირადობდი, დავანებებ სპორტს თავს და მერე გატარებ თეატრში-მეთქი. ახლა ავუსრულებ დანაპირებს.

მეორე მხრივ, კარგია, რომ იცი, ხალხს გინდობს, უყვარხარ, უბრალოდ, ავტორიტეტულად ვიქცევი. რომ არ გაცდევინებენ საათობით ესეც ხომ პატივისცემაა.

ესაუბრა ივანე ჩახვანიძე.

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ბაშინი მოსკოვის „ოლიმპიურის“ დახურულ დარბაზში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურის მატჩი, ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი“.

თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:0.

შესარჩენი მატჩი

სიღნიეში შედგა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი-მატჩი ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გუნდებს შორის. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს ავსტრალიელებმა. საინტერესოა, რომ გამარჯვებულთაგან ორი ბურთი გაიტანა არნოლდმა, რომელიც ავსტრალიელთა მწვრთნელმა მხოლოდ ბოლო მომენტში მიიწვია ნაკრებში.

ბრაზილიელები ემზადებიან

ბრაზილიელებმა ფეხბურთელებმა დაიწყეს სამზადისი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ნაკრების უფროს მწვრთნელად ახლან დაინიშნა სებასტიანუ ლაზარონი, რომელმაც ნაკრებში მიხმობილო 23 მოთამაშედან დაასახელა ძირითადი შემადგენლობის თერთმეტი სავარაუდო წევრი. ესენი არიან: ტაფარელო, ქორჟინიო, ბატი-სტა, კრუზი, მანინია, უილემარი, ჯეოვანი, ტორინიო, ბეპეტო, ვაშინგტონი და ზინიო.



პირველი „ორიანი“

მთელი შარშანდელი საფეხბურთო სეზონის მანძილზე სპეციალისტებიც, ფეხბურთელებიც, მაყურებლებიც არაერთხელ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას არბიტრების მისამართით. სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად მიმდინარე 52-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველვე ტურში შეფასება „ორიანი“ დამისახურა კომისიისგან არბიტრმა ა. გორანმა, რომელიც დონ-

ნეცის „შტეტორისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩს მსაჯობდა. ეს შეფასება მას მატჩის ინსპექტორმა ვ. ვარიუშინმა დაუწერა.

მინდორზე მიმდინარე დაძაბული ბრძოლის ნიუანსებში ახალგაზრდა არბიტრი სწორად ვერ გავიგო, იგი არ იყო დაწესებული თანვის გადაწყვეტილებებში და, გარდა ამისა, უღვაწე 11-მეტრიანი არ დანიშნა მასხინდელთა კარში.

მხარს უჭირან მწვრთნელს

მწვრთნელის კარიერა ფრიალ წარუმატებლად დაიწყო საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელმა მიშელ პლატინიმ. შოტლანდიელთთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წაგების შემდეგ, რამაც ფრანგები კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო, საფრანგეთის ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მიიწვი მხარი დაუჭირა ახალგაზრდა მწვრთნელს და განაცხადა, რომ მზადაა მ. პლატინისთან კონტრაქტი კვლავაც განაგრძოს. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა უან ფურნე-ფაიარმა პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

— მწვრთნელის ალო პლატინის, უღვაწე, აქვს. ჩვენ ამჟამად ახალგაზრდულ გუნდი გვაყავს, ვფიქრობთ, იგი პერსპექტიულია. პლატინიმ საპასუხისმგებლო მატჩებისთვის გამოცდილი ფეხბურთელებიც მიიწვია, მაგრამ სამწუხაროდ, სპორტული იღბლივ კერძობით ჩვენს მხარეს არაა.

კოლუმბია არგენტინა

კოლუმბია არგენტინა

კოლუმბიის ფეხბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგეს მსოფლიო ჩემპიონის არგენტინის ნაკრებს — 1:0. მათ თავიანთ მინდორზე, ბოგოტაში, დიდი აღმავლობით ითამაშეს, ერთადერთი ბურთი მე-15 წუთზე გაიტანა იგუარანამ.

თბილისიდან — ლენინგრადამდე და სხვა ამოცანები



მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვს თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმს, ამაში გამიზნა დაარსებულმა, სასწავლებელმა შენობაში თუ შენობაში, იქ ნახავთ თვალსაჩინოდ გამოფენილ სხვადასხვა თასებს, პრიზებს... აქ სწავლობდნენ ცნობილი მოჭიდველები რამაზ და რობინონ ხარშილაძეები, ენათელაშვილი, გ. ელიაშვილი, გელაშვილი, გ. პაპოვი და ე. ბაქრაძე, მძლეოსნები ნ. სტეპანოვი, გ. სტეპანოვი, ა. ვიუნოვი და სხვები. ფიჭულტურისა და სპორტისადმი დიდ ინტერესს მოწოდებს ისიც, რომ აქაურ ფიჭულტურის კოლექტივის 1974 წელს მიანიჭეს სპორტული კლუბის საპატიო წოდება.

ნუნა გაგომიძე. მას მხარში უდგას მთელი პედაგოგიური კოლექტივი: საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი მძლეოსნობაში ტ. ორდენიძე, ომისა და შრომის ვეტერანები კ. ლლოტი, გ. ნატრიაშვილი და სხვები.

ტექნიკუმის სპორტულ კლუბთან მუშაობს 9 სპორტული სექცია; მათ შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართული ჭიდაობის გუნდი. გარკვეული პერიოდის მანძილზე სპორტის ამ ერთგულს სახეობის მიმართ მთელს რესპუბლიკაში რატიონალურად ყურადღება და ახლა მეტად სასიხარულოა, რომ იგი კვლავ იწყებს აღორძინებას. ამის დასტურია ისიც, რომ წელს შემოდგომაზე ჩატარდება პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ყოველი სექცია გარკვეული იმედია ჩვენი ხალხური ჭიდაობის პოპულარიზაციისა და აღორძინებისათვის. სხვათა შორის, ტექნიკუმის მე-3 ტრადიციული სპორტაკადია სწორედ ქართული ჭიდაობით დაიწყო... აქვე ნაყოფიერად მუშაობს რბენისა და სპორტული სიარულის კლუბი „იმედი“.

ტექნიკუმის მოსწავლეები ხშირად ადგილებზე საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. გასულ წელს მათ მეორე ადგილი ზედათ წილად სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ ამნათობენში, I ადგილი კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სპორტაკადიაზე და ა. შ.

უკვე ტრადიციულ იქცა 3 წლის წინანდელი წამოწყება: „ჩასვლა ლენინგრადში“, ე. ი. ყველა მოსწავლე ვალდებულია წელიწადის მანძილზე გაირბინოს 2700 კმ. ეს

გასლავთ თავისებური საშინაო დავალება, რაშიც რეგულარულად (ყოველ თვეს) ეწყობა საკონტროლო გაკვეთილები. მიმდინარეობს მკაცრი აღრიცხვა, რომლის მიხედვით გამოდგება შედეგები და წლის ბოლოს ასახელებენ გამარჯვებულს.

სპორტულ კლუბთან არსებობს ფიზიკური მეთოდური კაბინეტი, რომელიც მდიდარია თანამედროვე აღჭურვილობით. მოსწავლეებს შეუძლიათ იხილონ სხვადასხვა მაღალი რანგის სპორტსმენთა ტექნიკის ამსახველი დიფრაგამები და კინოფრაგამები. ამასთან ერთად მეთოდკაბინეტში მრავლადაა პლაკატები, აქ შემუშავებული აქვთ და ყველა მსურველს შეუძლია მიიღოს სიტყვიერი თუ წერილობითი კონსულტაცია ინდივიდუალური გარემოს შესახებ.

პროფესიონალი ბიზნისი

— წლებადელო წელი, — გვითხრა ნუნა გაგომიძემ, — საშუალო და სპეციალური სასწავლებლების რესპუბლიკური და საკავშირო სპორტაკადიების წელია, მთელი კოლექტივის მიზანია წარმატებით გამოსვლა ამ საპატიო და საპასუხისმგებლო შეჯიბრებებზე. გერჯერობით კი ჩვენი მოსწავლეები დიდი მონდობით მონაწილეობენ ტექნიკუმის სპორტაკადიაში.

ზია ბურაული.

სურათი: მიმდინარეობს პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტაკადია.

კარლო ხალუქაძის ფოტო.

საპარტმელოს ჩამკონატი ზაბარაძე ქალთა შორის

ორნი — ღაშვარსხელად

საპარტმელოს მოჭადრაკე ქალთა 45-ე ჩემპიონატზე შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატი ციალა ქალაშვილი და ოსტატობის კანდიდატი ნინო ხურციძე იბრძვიან დაუმარცხებლად. X ტურში ქალთაშორის ლიდერს ეკატერინე ფახროვას ხვდება, უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატს ამ შეჯიბრებაში აშკარად სწყალობს ქალღმერთი „ქალისა“. მან ბევრი მძიმე პოზიცია იხსნა და მოიგო კიდევ ის პარტიები. ფახროვა მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, რაც შეეხება ქალთაშორის მის შეხვედრას, პარტია გადაიღო. საქართველოს ჩემპიონს ზედმეტი პაიკი აქვს.

ამ ტურში ხურციძე შავი ფიგურებით ყაბზე შეუთანხმდა სოფიკო ტერეშაძეს და ლიდერთა გჯუფს მიუახლოვდა. ახლა მას, ფახროვასთან ერთად, ოსტატობის ნორმის შესრულების კარგი შესაძლებლობა აქვს.

სატურნირი მდგომარეობა განმტკიცა ნათია ჩანჭლავაძემ, რომელმაც პენრიეტა ლავილიას სძლია.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: კობაძე-მელაშვილი 0:1, ალინაშვილი-კურცხალია 0:1, ეფემიძე-მესხი 0:1, ხუგაშვილი-თავაძე 1:0, ჩიკოვსკია-საღმუნდელი 0,5:0,5, მერკელიშვილი-თანდაშვილი 1:0.

IX ტურის გადადებულ პარტიაში თამაშის გუნდად მადლიერად ყაბზე შეთანხმდნენ ნათია ჩანჭლავა და ციური კობაძე.

10 ტურის შემდეგ შეჯიბრებას კვლავ ფახროვა ლიდერობს — 8 (1). შემდეგ მოდიან ჩანჭლავა — 7,5, ქალაშვილი — 6 (2), ხურციძე — 5,5 (2), საღმუნდელი — 5,5 (1), თამილა მესხი, ჩეთევან მელაშვილი — 5,5-5,5.

თამარ ხშიადაშვილი.

პირველი თამაშები

1991 წლის ნოემბერში ინდოეთი აფრიკა-აზიის პირველ თამაშებს უმასპინძლებს. როგორც ქვეყნის ერთგული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდიანმა რანდირ სინგხამ განაცხადა, ინდოეთი ყველაფერს იღონებს, რომ პირველი თამაშები მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარდეს. ჩვენთვის მთავარი ამ შემთხვევაში გამარჯვება კი არ არის, — განაცხადა სინგხამ, — არამედ სპორტის პროპაგანდა.

სა და აზიის ოთხმოცამდე ქვეყნის დელეგაციის ჩამოსვლას. 2 ათასამდე სპორტსმენი ერთმანეთს შეეჯიბრება ამ სახეობაში.

„სპორტპროფესიონალი“

მე-11 ტირაჟის შედეგები (11-12 მარტი)
1-X, 2-1, 3-X, 4-1, 5-1, 6-X, 7-X, 8-1, 9-1, 10-1, 11-1, 12-1, 13-2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



საპარტმელოს სსრ სპორტ-საკომიტეის არსებული მინი-ფუნქციონალის კომპარაციული კლუბი

„მრეხები“

19 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში გამართავს თავისპირველ საერთაშორისო შეხვედრას მინიფუნქციონალის ფუნქციონალის კლუბი „ლაპა“-სთან.

14, 15, 16 აპრილს, „მრეხები“, როგორც ორგანიზატორი და ხაზინარი, თბილისის სპორტის სასახლეში გამართავს ბავშვთა მინიფუნქციონალის ტურნირს.

სპორტობის მსურველებს, სარეკლამო ფარების ადგილების შექმნის მსურველებს, აგრეთვე „მრეხების“ ემბლემიანი სპორტული ატრიბუტიკის დამზადებისა და ტურნირზე რეალიზაციის მსურველებს ვთხოვთ დროულად მოგვმართონ მისამართით:

380015 თბილისი, კონსტიტუციის მოედანი 1, სპორტის სასახლე, „მრეხები“, ტელ: 86-28-04.

ნობელ პრესორტულ თამაშები

კამპანის ბიოსფეროს ნაკრძალის სპეციალისტებმა წინადადება წამოაყენეს დათვების შიგრიცხვის გზების შესასწავლად გამოიყენონ დედამიწის ზედაფენის თანამგზავრი. თანამგზავრში მითაგებული მარტივი ხელსაწყო ზუსტად განსაზღვრავს ტყის ამ გვიანტების ადგილსამყოფელს.

პარტიზანთა ტელეფონზე 09-ს და, შესაძლებლობა გეგმავთ ბავშვებს მოასმენინოთ... ზღაპრები. ეს სიახლე დინერგა პერმის ოლქის ქალაქ ქიზელში. ზღაპრები ფორზეა ჩაწერილი. საწყისი დირეზიონება 20 კამიკი, შემდეგ ყოველ წუთში საფასური თითო კამიკით იზრდება.

როგორც ვაჭარი „სოვეტ-სკია როსია“ იწყება, მხოლოდ ბოლო ხუთ წელიწადში ხსრ კავშირში ტელევიზორის მიწვით გაჩნდა 17 ათასი ხანძარი და დაიღუპა 900 ადამიანი. ქიმიური მრეწველობის სამინისტროს დავალებული აქვს ტელევიზორებში შეცვალოს ხანძარსაში დეტალები.

პიუპის, როგორც შესანიშნავი მწერლის სახელი, მთელ მსოფლიოშია ცნობილი. და აი, ამ დღეებში იგი სამყარომ გაიცნო... როგორც მხატვარი. პიუგოს ნახატებმა, რომელიც გამოფინეს პარიზში, სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიწმინდა.

ივანე, თქვენ უკვე პაეცანით „ლალოს“ დეპანდელი ნომრის პირველ გამარჯვებულ კვანავაზე წინადადებას, როგორია თქვენი პირი შიტიხვალა? შთაფარებით!

ლოპის საწინააღმდეგოდ კალათბურთელთა გუნდის სხვის ზოგჯერ ერთი სპორტსმენი განსაზღვრავს. იუგოსლავიის უძლიერესი კლუბის ზაგრების „ციბონას“ მოთამაშე დრევენ პეტროვიჩი რამდენიმე თვეა რაც მადრიდის „რეალში“ მიიწვიეს და მოყვარული კალათბურთელი პროფესიონალი გახდა. ამით პეტროვიჩმა მოიგო და „რეალში“, აი „ციბონას“ კი სერიოზულად დასაზარადა და ერთ დროს ევროპაში საუკეთესო კლუბი რიგით, საშუალო დონის გუნდად გადაიქცა.

პირველი შთაბეჭდილება პროფესიონალურ გუნდში გადასვლის შემდეგ წარუშლელი აღმოჩნდა, პეტროვიჩი დაუფარავად აცხადებს, რომ ისეთ სრულყოფილ ორგანიზაციას, როგორც „რეალში“ გადასვლის შემდეგ ნახა, ვერასდროს წარმოიდგენდა. არავითარი სხვა პრობლემა, თამაშის გარდა, მას თურმე აღარ აწუხებს. ყველაფერზე სხვებზე ფიქრობენ და ზრუნავენ.

იუგოსლავიელმა ქურნალისტებმა პეტროვიჩის ერთი-ორი კონკრეტული მაგალითის მოყვანა თხოვეს.

— თამაშზე გამაზვარების წინ „რეალის“ წევრები იბრუნეს სამხსოვრო ბარათს, რომელშიც მთელი პროგრამა დეტალურად არის აღწერილი: რომელ საათზე გადის ავტობუსი აეროპორტში, რეისის ნომერი, სასტუმროს სახელწოდება, რომელშიც მადრიდში დაბინავდებიან, რამდენ დღეს დაპყვებიან საზღვარგარეთ და როდის დაბრუნდებიან შინ. პირველი რომ მოხვდეს „რეალის“ ავტობუსში, მიყვანეს საავტომობილო, რომელსაც ჩემი გვარი ეწერა. სკამზე იდო კონკრეტული 30 ათასი პესეტით (300 დოლარამდე). ეს თურმე ჩემი „დღიური“ ყოფილა.

როგორ ვარჯიშობ გუნდი? — როგორც ვაჭარიცხს „რეალში“ საზღვარგარეთ მომხრდა გა-

მგზავრება. დანიშნულების ადგილზე დამის პირველ საათზე ჩავფრინდით. ვარჯიში მეორე დღეს 18 საათისათვის იყო დანიშნული. დავწევი ნაშუადღევით 3 საათისათვის. მეორე დღეს 11 საათზე უკვე დარბაზში ვიყავი. უცხოეთში „რეალში“ ორჯერად წვრილას არ ატარებს. მაგრამ მე ჩვეულებად მაქვს ყოველ დღით ასამდე ტყორცის შესრულება. ჩემი მოთხოვნა მაშინვე დააკმაყოფილეს. საგარეო დარბაზში მარტო წამოვიყენეს და ავტობუსი იქ მელოდა.

მოყვარული — პროფესიონალურები

თქვენ, თუ არ ვცდებით, საფუნქციონალი კლუბის სექციის წევრი ხართ.

— კალათბურთი „რეალში“ და „ბარსელონაში“ საფუნქციონალი კლუბებთან არის შეხიზნული. გავრცელდა ხმები, რომ „რეალში“ ჩვენს სექციას დახურავსო. ამაზე, სხვადასხვა შორის, დიდი ხანია ლაპარაკობენ, ვინაიდან კალათბურთის ფუნქციონალი შედარებით ნაკლები შემოსავალი აქვს. მაგრამ არა მგონია, რომ კლუბის ზემოქმედებები ამაზე წავიდნენ. „რეალის“ კალათბურთელთა გუნდი ესპანეთში ერთგულ სიამაყედ ითვლება. მეტსაც გეტყვი, კლუბის პრეზიდენტ მენდოსას გადაწყვეტილი აქვს უცხოეთიდან ახალი „ვარსკვლავების“ მიწვევა. ზარჯებს არ ერიდება — ოღონდ „რეალი“ ევროპაში საუკეთესო იყოს.

ერთხელ უკვე შეგთავაზეს ნებას ლიგის ერთ-ერთ კლუბში, ვგონებ, „პორტლენდში“, გადასვლა.

— „პორტლენდის“ ხელმძღვანელებს იმედი ჯერაც არ დაუკარგავთ, მაგრამ უკვე მოეწყობა ხელი კონტრაქტს „რეალთან“.

რას ფიქრობთ პროფესიონალ და სამოყვარულო კალათბურთის ურთიერთობაზე? — არის ხმები, რომ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის აპრილის კონგრესი პროფესიონალებს მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის უფლებას მისცემს, მომავალში კი ისინი ოლიმპიური თამაშებისკენაც გაიკავიან.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპარტამენტისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ბალაფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

380015 თბილისი, კონსტიტუციის მოედანი 1, სპორტის სასახლე, ტელ: 86-28-04.

საქართველოს კმ ცვ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოცხეტური წესით საგაზეთო კორპუსში: სოფარაულის, 29.